

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

1. აფილირებულია ფიზიკური პირი, რომელსაც შეუძლია პირდაპირი გავლენის მოხდენა დაწესებულების საქმიანობაზე. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში აფილირება გულისხმობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან;
2. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნსუ) აფილირება წარმოადგენს საკადრო პოლიტიკის და პერსონალის მართვის შემადგენელ კომპონენტს, რომელმაც უნდა შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა;
3. აფილირება არის ნებაყოფილობითი. ბნსუ-ში აფილირებული შეიძლება იყოს აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც წერილობით დაადასტურებს აფილირების სურვილს, ეთანხმება და ასრულებს ქვემოთ მითითებულ პირობებს:
 - ბნსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;
 - ბნსუ-ში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას და მისი კვლევის შედეგები ეთვლება ბნსუ-ს;
 - აქტიურად არის ჩართული ბნსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
 - აქტიურად არის ჩართული ბნსუ-ში სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელო-ბის პროცესებში.
4. აფილირებული პირი ვალდებულია ყოველწლიურად მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატია/პუბლიკაცია საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში;
5. აფილირება შესაძლებელია აკადემიური თანამდებობის მქონე პირის შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით;
6. აფილირებული პირი ასრულებს ყველა იმ მოვალეობას და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომელიც ბნსუ-ში დადგენილია შესაბამისი აკადემიური თანამდებობისთვის;
7. აფილირებულ პირებს აქვთ გარკვეული კვოტა ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში (თითოეულ ფაკულტეტს - თანაბარი რაოდენობის აფილირებული წარმომადგენელი);
8. აფილირებული პირებისადმი მოქმედებს შემდეგი წესები:
 - ბნსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ ბნსუ-ს სახელით გამოსაცემად მომზადებულ სახელმძღვანელო/მეთოდურ მასალას (აკადემიური საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში) და გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სტატიას/პუბლიკაციას (საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“);
 - აფილირებული პირის მიერ ბნსუ-ს სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის შემთხვევაში ბნსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს, იყენებს ბონუსების/წახალისების მექანიზმს (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი ან სხვ.);
 - ბნსუ-ს სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში აფილირებული პირის მიერ მომზადებული სტუდენტის მონაწილეობის შემთხვევაში ბნსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) შესაბამის ხარჯებს და აფილირებული პირის მიმართ იყენებს ბონუსების/წახალისების მექანიზმს (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი ან სხვ.);
 - აფილირებული პირის მიერ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის (რომლის შედეგები ეთვლება ბნსუ-ს) შემთხვევაში:
 - ბნსუ აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობას და ერთწლიან წვდომას აფილირებული პირის მიერ არჩეულ საერთაშორისო ელექტრონული ჟურნალის მასალებთან, რომლებიც დაკავშირებული კვლევის სფეროსთან;
 - ბნსუ აფინანსებს (სრულად) გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სტატიას/პუბლიკაციას (საერთაშორისო რეფერირებად რეცენზირებად სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალში „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“);
 - აფილირებულ პირს შეუძლია მოახდინოს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემის კორექტირება - ერთი აკადემიური წლისთვის შეამციროს პედაგოგიური დატვირთვა და გაზარდოს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი, რაც უნდა მოხდეს წინასწარ, აკადემიური წლის დაწყებამდე.
9. აფილირება შეიძლება გაუქმდეს შემდეგ შემთხვევებში:
 - აფილირებული პირის წერილობითი განცხადება აფილირების გაუქმების შესახებ;
 - შრომითი ხელშეკრულების (აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის) ვადის ამოწურვა/ვადამდე შეწყვეტა;
 - ბნსუ-ს (აკადემიური საბჭოს) გადაწყვეტილება აფილირების გაუქმების შესახებ აფილირებული პირი მიერ წინამდებარე წესში მითითებული პირობების ან/და ინდივიდუალური ყოველწლიური დატვირთვის მითხოვნების დარღვევის/შეუსრულებლობის ან/და ატესტაციის მოთხოვნებთან შეუსაბამობის მიზეზით;
 - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ბნსუ-ს შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი შემთხვევები, რომლებიც იწვევენ შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას.
10. აფილირების გაუქმება არ იწვევს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გაუქმებას და შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას;
11. აკადემიური თანამდებობის მქონე პირს, რომელმაც გააუქმა აფილირება ან რომელსაც ბნსუ-ს მიერ გაუუქმდა აფილირება, შეუძლია შემდგომში (შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) მიმართოს ბნსუ-ს რექტორს განცხადებით აფილირების სურვილის შესახებ. მითითებულ შემთხვევებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ბნსუ-ს აკადემიური საბჭო.

დანართი: ბნსუ-სთან აფილირების დადასტურების ფორმა.